# ოთხი საბჭოთა ვაჟკაცი კოსმოსში


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

16 იანვარი ხუთშაბათი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი ● № 13 (14313)


**ორბიტაზე გაყვანილია ახალი კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-5“, რომლის ეკიპაჟი სამი კაცისაგან შედგება.**

**ხომალდის მეთაური პოლპოლკოვნიკი ბორის ვალენტინის-ძე ვოლინოვი და ეკიპაჟის წევრები — ბორტ-ინჟინერი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ალექსი სტანისლავის-ძე ელისეევი და ინჟინერ-მკვლევარი პოდპოლკოვნიკი ევგენი ვასილის-ძე ხრუნოვი თავს ჩინებულად გრძნობენ.**

ხომალდებმა „სოიუზ-4“-მა და „სოიუზ-5“-მა, გმირმა საბჭოთა კოსმონავტებმა დაიწყეს კოსმოსურ სივრცეში ერთობლივი ექსპერიმენტების პროგრამის შესრულება.

ბორის ვალენტინის-ძე ვოლინოვი

ალექსი სტანისლავის-ძე ელისეევი

ევგენი ვასილის-ძე ხრუნოვი

## საკდესის ცნობა

# ორბიტაზეა ორი საბჭოთა კოსმოსური ხომალდი — „სოიუზ-4“ და „სოიუზ-5“

**დღეს, 1969 წლის 15 იანვარს 10 საათსა და 14 წუთზე მოსკოვის დროით დედამიწის თანამგზავრის ორბიტაზე გაყვანილია კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-5“, რომლის ეკიპაჟი სამი კოსმონავტისაგან შედგება.**

**კოსმოსურ ხომალდზე არიან საბჭოთა კოსმონავტი მფრინავები: ხომალდის მეთაური პოდპოლკოვნიკი ბორის ვალენტინის-ძე ვ ო ლ ი ნ ო ვ ი და ეკიპაჟის წევრები — ბორტ-ინჟინერი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ალექსი სტანისლავის-ძე ე ლ ი ს ე ე ვ ი და ინჟინერ-მკვლევარი პოდპოლკოვნიკი ევგენი ვასილის-ძე ხ რ უ ნ ო ვ ი.**

**კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-5“ გაყვანილია გაანგარიშებულ ორბიტაზე.**

**კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-5“-ის პარამეტრებია:**

**დედამიწის გარშემო მიმოქცევის პერიოდი — 88,7 წუთი;**

**მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 230 კილომეტრი;**

**მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 200 კილომეტრი;**

**ორბიტის დახრილობა — 51 გრადუსი და 40 მინუტი.**

**ორბიტაზე გაყვანის შემდეგ ხომალდ „სოიუზ-5“-ის მეთაურმა ამხ. ბორის ვალენტინის-ძე ვ ო ლ ი ნ ო ვ მ ა ორმხრივი რადიოკავშირი დაამყარა დედამიწასთან და კოსმოსურ ხომალდ სოიუზ-4“-თან.**

**ამხანაგ ბ. ვ. ვ ო ლ ი ნ ო ვ ი ს მოხსენებით, იგი და ეკიპაჟის წევრები თავს კარგად გრძნობენ; წნევა და ტემპერატურა ხომალდის ნაკვეთურებში ნორმალურია.**

**ხომალდის „სოიუზ-4“-ისა და „სოიუზ-5“-ის მეთაურებმა კოსმონავტმა მფრინავებმა ამხანაგებმა ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე შატალოვმა და ბორის ვალენტინის-ძე ვოლინოვმა გადმოსცეს, რომ დაიწყეს კოსმოსურ სივრცეში ერთობლივი ექსპერიმენტების პროგრამის შესრულება.**

**კოსმოსური ხომალდები „სოიუზ-4“ და სოიუზ-5“ განაგრძობენ ფრენას. 1969 წლის 15 იანვრის 13 საათისათვის მოსკოვის დროით ხომალდმა „სოიუზ-4“-მა თვრამეტჯერ შემოუფრინა დედამიწას, ხოლო ხომალდმა „სოიუზ-5“მა — ორჯერ.**

**ხომალდ „სოიუზ-4“-ის მეთაურმა ამხ. ვ. ა. შატალოვმა გადმოსცა, რომ აკვირდებოდა კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-5“-ის გაყვანას ორბიტაზე.**

**ხომალდ „სოიუზ-5“-ის მეთაურმა ამხ. ბ. ვ. ვოლინოვმა მართვის ხელის სისტემის საშუალებით შეასრულა ხომალდის ორიენტაცია მზეზე, რის შემდეგ წარმოებდა ციური მნათობების დაკვირვება. ბორტ-ინჟინერი ა. ს. ელისეევი და ინჟინერ-მკვლევარი ე. ვ. ხრუნოვი აწარმოებდნენ კაბინის ინტერიერის კინო და ფოტოგადაღებას.**

**ამხ. ბ. ვ. ვოლინოვმა მოაწყო ტელერეპორტაჟი ორბიტული ნაკვეთურიდან და კოსმონავტის კაბინიდან. ტელერეპორტაჟის დროს ინჟინერმა ხრუნოვმა მაყურებლებს წარუდგინა კოსმოსური ხომალ-**

(დასასრული მე-2 გვ.).

## კოსმონავტთა ცხოვრების ფურცლები

### პოდპოლკოვნიკი ბორის ვალენტინის-ძე ვოლინოვი

ბორის ვალენტინის-ძე ვოლინოვი დაიბადა 1934 წლის 18 დეკემბერს ქალაქ ირკუტსკში.

ბორისმა საშუალო სკოლა დამთავრა ქალაქ პროკოპიევსკში, შემდეგ — საავიაციო სკოლა.

1956 წლიდან ვოლგოგრადის სამხედრო საავიაციო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ბორის ვალენტინის-ძე ვოლინოვი მსახურობდა საბჭოთა არმიის საავიაციო ნაწილებში. 1958 წელს ვოლინოვი შევიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში.

კოსმონავტთა რაზმში ბორის ვალენტინის-ძე ვოლინოვმა მზადება დაიწყო 1960 წელს. წარმატებით გაიარა რა მზადება კოსმოსური ფრენისათვის, იგი იყო ვალერი ბიკოვსკის დუბლიორი 1963 წელს დაზიორგი ბერეგოვოის დუბლიორი.

1968 წელს ვოლინოვმა ძირითად მუშაობას მოუწყვეტლივ დაამთავრა ჟუკოვსკის სახელობის სამხედრო-საჰაერო საინჟინრო აკადემია.

ბორის ვალენტინის-ძე ვოლინოვი ცოლიანია. მისი ცოლი თამარ თევდორეს ასული განათლებით ინჟინერ-მეტალურგია, მუშაობს მანქანათსამშენებლო ქარხანაში. ვოლინოვებს ორი შვილი ჰყავთ: ანდრია — 1958 წელს დაბადებული და ტატიანა — 1965 წელს დაბადებული.

ბორის ვალენტინის-ძე ვოლინოვს მამა ადრე გარდაეცვალა. იგი აღზარდა დედამ ევგენია ისრაელის ასულმა, სპეციალობით ექიმმა (ამჟამად პენსიონერმა). მრავალი წლისა და უმწიკვლო მუშაობისათვის მას მინიჭებული აქვს „რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის“ წოდება.

### ალექსი სტანისლავის-ძე ელისეევი

ალექსი სტანისლავის-ძე ელისეევი დაიბადა 1934 წლის 13 ივლისს კალუგის ოლქის ქალაქ ჟიზდრაში. ბავშვობა გაატარა მოსკოვის გარეუბანში, სადაც მთელი ოჯახი ცხოვრობდა.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ალექსი 1951 წელს შევიდა მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში და წარმატებით დაამთავრა იგი.

საკონსტრუქტორო ბიუროში მუშაობისას ალექსი სტანისლავის-ძე ელისეევმა 1967 წელს დაიცვა დისერტაცია ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

1966 წლიდან ელისეევმა მომზადება დაიწყო კოსმონავტთა რაზმში. 1967 წელს იგი შევიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში.

ელისეევის ცოლი — ლარისა ივანეს ასული მუშაობს ინჟინრად საკონსტრუქტორო ბიუროში. ქალიშვილი — ელენე რვა წლისაა. კოსმონავტის დედა — ვალენტინა ივანეს ასული, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მუშაობს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური ქიმიის ინსტიტუტში.

### პოდპოლკოვნიკი ევგენი ვასილის-ძე ხრუნოვი

ევგენი ვასილის-ძე ხრუნოვი დაიბადა 1933 წლის 10 სექტემბერს ტულის ოლქის ვოლოვოს რაიონის სოფელ პრუდში.

ევგენიმ დაამთავრა შვიდწლიანი სკოლა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი. ევგენიმ, რომელსაც ბავშვობიდან იტაცებს ავიაცია, დაამთავრა სამხედრო-საავიაციო სკოლა და 1953 წელს გახდა საავიაციო სასწავლებლის კურსანტი.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ევგენი ვასილის-ძე მსახურობდა საბჭოთა არმიის საავიაციო ნაწილებში. 1959 წელს იგი შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში.

კოსმონავტთა რაზმში ხრუნოვი ჩარიცხეს 1960 წელს. მან გაიარა კოსმოსური ფრენისათვის მომზადება და იყო ალექსი ლეონოვის დუბლიორი.

1968 წელს ევგენი ვასილის-ძე ხრუნოვმა წარჩინებით დაამთავრა ჟუკოვსკის სახელობის სამხედრო-საჰაერო საინჟინრო აკადემია.

ევგენი ვასილის-ძე ცოლიანია. მისი ცოლი სვეტლანა ანატოლის ასული, 1939 წელს დაბადებული, საშუალო სკოლის მასწავლებელია.

ხრუნოვებს ჰყავთ ვაჟი — ვალერი, 1959 წელს დაბადებული, კოსმონავტის დედა აგრაფინა ნიკოლოზის ასული პენსიონერია.

(საკდესი).

## საქართველოს სახალხო კონტროლის აქტივის თათბირი

**15 იანვარს** სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის ორგანოების აქტივის თათბირი. თათბირზე მოიწვიეს ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, სამინისტროებისა და უწყებების, მსხვილი საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელები, სახალხო კონტროლის კომიტეტების, ჯგუფებისა და საგუშაგოების წარმომადგენლები, ამერკაკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეომართა წარმომადგენლები.

თათბირის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები **პ. ა. როდიონოვი, გ. ი. ჩოგოვაძე, მ. ი. კუმავა, შ. დ. კიკნაძე, ო. ი. ლოლაშვილი,** სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე **ა. ვ. კოვანოვი,** სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის განყოფილების გამგე **ა. ა. ტუფიკოვი,** რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები **ვ. მ. სირაძე** და **ე. მ. ჯაფარიძე,** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **მ. მ. ლელაშვილი,** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. ა. კვაჭაძე,** ამერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი, პოლიტიკური სამმართველოს უფროსი **თ. ბ. სტეპჩენკო,** საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **რ. ვ. მეტრეველი.**

თათბირი გახსნა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ **მ. კუმავამ.**

მოხსენება „დებულება სსრ კავშირის სახალხო კონტროლის ორგანოების შესახებ და საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტების, ჯგუფებისა და საგუშაგოების ამოცანები“ გააკეთა სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ **პ. კოვანოვმა.**

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ ქალაქ თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე **ნ. ხოფმაფარაშვილი,** ტრესტ „ტყეარჩილქალაქნახშირის“ შახტის გვირაბგამყვანი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **მ. ბიგვავა,** რუსთავის ქიმიური კომბინატის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე **გ. ხაზარაძე,** ახალის ასსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე **ა. ანთაძე,** ქალაქ თბილისის სახალხო კონტროლის ორჯონიკიძის რაიონული კომიტეტის შტატგარეშე განყოფილების გამგე, პროფესორი **შ. ლომინაძე,** სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ირეფდის საბჭოთა მეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე **ო. ქელეხსაშვილი,** ამერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ერთ-ერთი ავიანაწილის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე **მ. შლიაკოვი,** თბილისის № 1 თამბაქოს ფაბრიკის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორი **ლ. ლუდჩენკო,** საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე **მ. კუმავა.**

თათბირზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ **პ. კოვანოვმა.** (საკდესი).

# ვაშა კოსმოსის დამპყრობთ!

## ორბიტაზეა ორი საბჭოთა კოსმოსური ხომალდი — „სოიუზ-4“ და „სოიუზ-5“

(დასასრული)

დის „სოიუზ-5“-ის ეკიპაჟის დანარჩენი წევრები, აგრეთვე უჩვენა ეკიპაჟის თვითთეული წევრის სამუშაო ადგილი. საზომი პუნქტები ხომალდიდან იღებდნენ მკაფიო სატელევიზიო გამოსახულებას.

ხომალდი „სოიუზ-5“ ცნობებს გადმოსცემს 15,008 მეგაჰერცი სიხშირით.

ხომალდების ეკიპაჟები სამეცნიერო კვლევას აწარმოებდნენ დასახული პროგრამით. დღის განრიგის შესაბამისად ეკიპაჟის წევრები ჭამდნენ.

ეკიპაჟების მეთაურთა ცნობებით, ხომალდების „სოიუზ-4“-ისა და „სოიუზ-5“-ის ნაკვეთურებში ტემპერატურა და ჰაერის წნევა ნორმალურია.

1969 წლის 15 იანვარს 17 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით „სოიუზ-4“-მა 21-ჯერ, ხოლო კოსმოსურმა ხომალდმა „სოიუზ-5“-მა ხუთჯერ შემოუფრინეს დედამიწას.

ფრენის დროს მუშაობის მიღებული რეჟიმის შესაბამისად კოსმოსური ხომალდების ეკიპაჟები კოსმონავტის კაბინიდან გადადიოდნენ ორბიტულ ნაკვეთურში და შეასრულეს ექსპერიმენტებისა და მეცნიერული კვლევის დასახული პროგრამა.

კოსმონავტი მფრინავი ვ. ა. შატალოვი აწარმოებდა სამედიცინო კვლევას, აკვირდებოდა დედამიწის ჰორიზონტსა და მის სიმკვეთრეს.

რადიოკავშირის დროს ხომალდ „სოიუზ-4“-ის მეთაურმა განაცხადა, რომ ესიამოვნა, როცა შეიტყო გაანგარიშებულ ორბიტაზე კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-5“-ის წარმატებით გაყვანა, რომელშიც არიან მისი მეგობრები. მან აღნიშნა, რომ ერთსულოვან კოლექტივში ყოველგვარი ამოცანის შესრულება უფრო ადვილია.

კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-5“-ის ეკიპაჟი ახორციელებდა ხომალდის კაბინაში სიუჟეტების კინო და ფოტოგადაღებას და შეასრულა მეცნიერული კვლევის დიდი პროგრამა, კერძოდ, აკვირდებოდა მნათობებს ხომალდის ორიენტირებული მდგომარეობის დროს, სწავლობდა რადიოტალღების გავლას იონოსფეროში, აწყობდა სამედიცინო კვლევას, თვალყურს ადევნებდა დედამიწის ზედაპირის გეოლოგიურ-გეოგრაფიულ ობიექტებს. ინჟინერ-მკვლევარი ე. ვ. ხრუნოვი აწარმოებდა ნავიგაციურ გაზომვებს.

ხომალდ „სოიუზ-5“-ის ეკიპაჟის წევრებმა მილოცვა გადასცეს კოსმოსური ხომალდის ყველა შემქმნელს.

ტელემეტრიის მონაცემებისა და ამხანაგების ვ. ა. შატალოვისა და ბ. ვ. ვოლინოვის მოხსენებების თანახმად, ყველა სისტემა კვლავ ნორმალურად მუშაობს. კოსმონავტი მფრინავების ჯანმრთელობის მდგომარეობა და გუნებ-განწყობა საუცხოოა. კოსმონავტებმა მადიანად ისადილეს. კოსმონავტთა კვების დღის ულუფაში შედის სუბლიმირებული (გაუწყლოებული) პროდუქტები და ჩვეულებრივი საჭმელი, როგორიცაა, მაგალითად, ხარჩო, ქათმის ფილე, შოკოლადი, სხვადასხვა წვენი და სხვ.

ხომალდების „სოიუზ-4“-ისა და „სოიუზ-5“-ის ფრენას საიმედოდ უზრუნველყოფენ დედამიწის საკომანდო-გასაზომი კომპლექსები, გასაზომი პუნქტების ქსელი, რომლებიც განლაგებულია საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე მისი დასავლეთი საზღვრებიდან წყნარ ოკეანემდე. ტრაექტორიული და ტელემეტრიული გაზომვების, ტელევიზიისა და კავშირგაბმულობის საშუალებებით, საკომანდო რადიოსადგურებითა და დაკვირვებისა და კონტროლის მართვის სხვა საშუალებებით აღჭურვილი ეს პუნქტები განუწყვეტლივ მუშაობენ კოსმოსური ხომალდებიდან მოსული ინფორმაციის მისაღებად და დასამუშავებლად და უშუალო კავშირი აქვთ ეკიპაჟებთან. საკომანდო-გასაზომი კომპლექსების მუშაობაში მონაწილეობენ აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი გემები „მორჭოვეცი“ და „ნეველი“, რომლებიც იმყოფებიან გვინეის ყურის რაიონში, და ხომალდი „კოსმონავტი ვლადიმერ კომაროვი“, რომელიც იმყოფება ატლანტის ოკეანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში.

კოსმოსური ხომალდების „სოიუზ-4“-ისა და „სოიუზ-5“-ის ფრენა წარმატებით გრძელდება.

15 იანვარს 19 საათისათვის მოსკოვის დროით კოსმოსურმა ხომალდმა „სოიუზ-4“-მა დაამთავრა დედამიწის 22-ე, ხოლო კოსმოსურმა ხომალდმა „სოიუზ-5“-მა — მეექვსე გარშემოვლა.

ხომალდ „სოიუზ-4“-ის მეთაური ვ. ა. შატალოვი საბორტო სისტემების მუშაობის შემოწმების შემდეგ გადავა ორბიტულ ნაკვეთურში დასასვენებლად. ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე თავს კარგად გრძნობს.

ხომალდ „სოიუზ-5“-ში მთავრდება მუშაობა ფრენის პირველი დღის პროგრამის მიხედვით. ბ. ვ. ვოლინოვმა განახორციელა ხომალდის ხელით ორიენტაცია, რის შემდეგაც ჩართეს მაკორექტირებელი ძრავის დანადგარი, და კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-5“ გადავიდა ახალ ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

დედამიწის გარშემო მიმოქცევის პერიოდი — 88,92 წუთი, მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 253 კილომეტრი, მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 211 კილომეტრი, ორბიტის დახრილობა — 51 გრადუსი და 40 მინუტი.

კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-5“-დან დედამიწაზე ტელეგადაცემის მორიგი სეანსის დროს კოსმონავტები უჩვენებდნენ უწონობის მდგომარეობას ხომალდში.

ხომალდის ყველა საბორტო სისტემა შესანიშნავად მუშაობს. კოსმონავტები თავს კარგად გრძნობენ. დაძაბული სამუშაო დღის შემდეგ ეკიპაჟი დასასვენებლად გადავა ორბიტულ ნაკვეთურში.

კოსმოსური ხომალდების „სოიუზ-4“-ისა და „სოიუზ-5“-ის ფრენა გრძელდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) მფრინავი კოსმონავტები ე. ხრუნოვი, ვ. შატალოვი, ბ. ვოლინოვი და ა. ელისეევი კრემლში.

საკდესი (სურათი მიღებულია საკდესის ფოტოტელეგრაფით).

## ორბიტაზეა კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-4“

**საკდესის ცნობა**

14 იანვარს 18 საათისათვის მოსკოვის დროით ხომალდმა „სოიუზ-4“-მა ხუთჯერ შემოუფრინა დედამიწას.

კოსმოსურ ხომალდ „სოიუზ-4“-დან რადიოკავშირის მორიგი სეანსის დროს კოსმონავტმა მფრინავმა ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე შატალოვმა გადმოსცა, ფრენის პროგრამა წარმატებით სრულდებაო. ბიოტელემეტრიულ სისტემათა მონაცემებით და კოსმონავტის მოხსენებით, იგი თავს კარგად გრძნობს. კოსმოსური ხომალდის ბორტის სისტემები ნორმალურად მუშაობენ.

პროგრამის შესაბამისად მეოთხე გარშემოვლის დროს კოსმონავტმა მფრინავმა მოახდინა ხომალდის ორიენტაცია, რის შემდეგ მეხუთე გარშემოვლის დროს 16 საათსა და 35 წუთზე ძრავის დანადგარის საშუალებით მოეწყო კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-4“-ის ფრენის ორბიტის კორექცია. კორექციის შემდეგ ორბიტის პარამეტრებია:

მიმოქცევის პერიოდი დედამიწის გარშემო —88,75 წუთი;

მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) —237 კილომეტრი;

მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 207 კილომეტრი;

ორბიტის დახრილობა — 51 გრადუსი და 40 მინუტი;

გრძელდებოდა ხომალდიდან სატელევიზიო გადაცემები, რომლებშიც ამხ. ვ. ა. შატალოვმა დაწვრილებით ილაპარაკა კოსმონავტის კაბინის კონსტრუქციისა და მოწყობილობაზე.

14 იანვარს 18 საათსა და 16 წუთიდან 15 იანვრის 4 საათსა და 12 წუთამდე ხომალდი „სოიუზ-4“ იფრენს საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან რადიოხილვადობის ზონის გარეთ.

14 იანვარს 20 საათიდან 15 იანვრის 3 საათამდე ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე დაისვენებს.

15 იანვარს 4 საათსა და 12 წუთზე მოსკოვის დროით კოსმოსურმა ხომალდმა „სოიუზ-4“-მა 13-ჯერ შემოუფრინა დედამიწას და შევიდა საბჭოთა კავშირის შორეული აღმოსავლეთის საზომი პუნქტების რადიოხილვადობის ზონაში.

დაიწყო კოსმოსში ამხანაგ ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე შატალოვის ახალი სამუშაო დღე. განრიგით გათვალისწინებული ფიზიკური ვარჯიშისა და საუზმის შემდეგ კოსმონავტმა შეამოწმა ხომალდის სისტემების მდგომარეობა, დრო და შუადგა ფრენის მეორე დღის პროგრამის შესრულებას. კერძოდ, ფრენის დროს აკვირდებოდა მათს ნაწილებს, გადაიღო დედამიწის ღრუბლისა და თოვლის საფარი, დედამიწის დღისა და ბინდის ჰორიზონტები.

კოსმონავტთან მოეწყო რადიოკავშირის სეანსი. კოსმოსური ხომალდიდან მიღებული მონაცემებით, ამხანაგი ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე შატალოვი თავს ჩინებულად გრძნობს. არტერიული წნევა და მაჯისცემა ნორმალურია. მისი ორგანიზმი კარგად შეეგუა კოსმოსური ფრენის პირობებს.

კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-4“-ის ფრენა გრძელდება.

1969 წლის 15 იანვარს 9 საათისათვის მოსკოვის დროით კოსმოსურმა ხომალდმა „სოიუზ-4“-მა მეთხუთმეტედ შემოუარა დედამიწას.

კოსმონავტის მეორე სამუშაო დღე წარმატებით მიმდინარეობს.

ამხ. ვ. ა. შატალოვმა მართვის ხელის სისტემის საშუალებით მოაბრუნა ხომალდი, რათა მოეხდინა მზის ბატარიებით მისი ორიენტაცია მზეზე დენის ქიმიური წყაროების დასამუტავად, შემდეგ ფრენის ხელმძღვანელობას მოახსენა ამ ოპერაციის შესრულება და განაგრძო პროგრამით გათვალისწინებული ექსპერიმენტები, მათ შორის ღრუბლების, დედამიწის თოვლის საფარისა და დედამიწის ზედაპირის გეოლოგიურ-გეოგრაფიული ობიექტების დაკვირვება.

პროგრამის შესაბამისად ეწყობოდა რადიო და ტელეგადაცემები ხომალდის კაბინიდან, აგრეთვე მოეწყო ტელერეპორტაჟი ორბიტული ნაკვეთურიდან, რომელიც განკუთვნილია სამეცნიერო კვლევისა და კოსმონავტის დასვენებისათვის.

ხომალდ „სოიუზ-4“-დან მიღებული მონაცემებით, კაბინისა და ორბიტულ ნაკვეთურში წნევა, ტენიანობა და ტემპერატურა ნორმალურია.

კოსმონავტი მფრინავი ამხ. ვ. ა. შატალოვი თავს ჩინებულად გრძნობს.

კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-4“ წარმატებით განაგრძობს ფრენას.

## ეთერშია საბჭოთა კოსმოდრომი

### სტარტზეა კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-5“

და აი ისევ „ბაიკონურის“ კოსმოდრომზე ვართ. მხოლოდ წინადღით მოგვეხდა აქედან თვალყური გვედევნებინა ხომალდ „სოიუზ-4“-ის სტარტისათვის, ახლა კი ტელევიზიის საშუალებას გვაძლევს დავესწროთ მეორე კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-5“-ის სტარტს.

რაკეტა ლითონის ფერმებშუა დგას. მან უნდა გაქროლოს ხომალდი სამყაროს სივრცეებში. კოსმოდრომზე ძალიან ყინავს. ყინვის ნისლოვანი დაფარფატებს რაკეტის გარშემო, ამის გამო დროდადრო ცუდად მოჩანს სასტარტო მოედანი. მაგრამ, ბუნებრივია, ვერც ყინვა, ვერც ნისლოვანი ვერ შეაფერხებენ უზარმაზარი ლითონის სიგრძის გაშვებას, რომელიც რაკეტისა და ხომალდისაგან შედგება.

ტელეეკრანზეა ავტობუსი, რომელმაც ეკიპაჟი მოიყვანა: ხომალდის მეთაური პოდპოლკოვნიკი ბორის ვოლინოვი, ბორტ-ინჟინერი ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ალექსი ელისეევი, ინჟინერ-მკვლევარი პოდპოლკოვნიკი ევგენი ხრუნოვი. კოსმონავტ მფრინავებს თბილი ქურთუკები აცვიათ, ყურებიანი ქუდები ახურავთ. ისინი მიუმართებიან სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარისაკენ.

უპატაკებს ბორის ვოლინოვი:

— ამხანაგო სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარევ! კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-5“-ის ეკიპაჟი მზად არის საფრენი დავალების შესასრულებლად. ხომალდის მეთაური პოდპოლკოვნიკი ვოლინოვი.

კომისიის თავმჯდომარემ, მიიღო რა პატაკი, კოსმონავტებს უსურვა ბედნიერი ფრენა და მშვიდობით დაბრუნება და გულთბილად, მამაშვილურად უთხრა მათ: გისურვებთ წარმატებებს!

კოსმონავტებს კოსმოსურ ხომალდამდე აცილებენ სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე, მეგობრები, ისინი, ვინც ქმნიდა და ამზადებდა კოსმოსურ ხომალდს გაფრენისათვის, აგრეთვე საკდესის, ახალი ამბების საგენტოს, ცენტრალური გაზეთების წარმომადგენლები.

კოსმონავტები ლიფტში სხდებიან. აი ლიფტი ზემოთ ადის. რამდენიმე ხნის შემდეგ ლიფტის კაბინა ჩერდება და ეკიპაჟის წევრები-ბაქანზე გამოდიან.

გამცილებლები რაკეტას მოშორდნენ, რომ უკეთ დაინახონ იგი და კოსმონავტები.

სტარტზე ვამოაკვლევდეს ორსაფეხიანი მზადყოფნა. ტელეეკრანებზე ტექნიკოსები მფრინავებს, ექიმ ბორის ბორისის-ძე ეგოროვს, სთხოვენ რამდენიმე სიტყვა თქვას „სოიუზ-5“-ის ეკიპაჟის და, კერძოდ, ხომალდის მეთაურის ბორის ვოლინოვის შესახებ.

ბორის ეგოროვი ამბობს, რომ მისი სეანსი თავს ჩინებულად გრძნობს, ბრწყინვალედ იცნობს კოსმოსურ ხომალდს. ეგოროვმა მეტად საინტერესო ამბავი გვითხრა: ვოლინოვი პირველი ყაცია, რომელსაც იგი გაეცნო, როცა სამუშაოდ მიეიდა იმ დარგში, კოსმოსურ სივრცეს რომ იკვლევს. ბორის ბორისის-ძე ქებით იხსენიებს აგრეთვე ხრუნოვს, ხოლო ელისეევს ახასიათებს არა მარტო როგორც საინტერესო ადამიანს, არამედ როგორც კარგ მათემატიკოსსაც.

— ვფიქრობ, რომ ვოლინოვის, ელისეევისა და ხრუნოვის ფრენაც ისეთივე წარმატებითი იქნება, როგორც ვალოდია შატალოვისა, — შენიშნავს ბორის ეგოროვი. თუ ეკიპაჟის ჯანმრთელობაზე ვილაპარაკებთ, ისინი ყველანი ჯანმრთელნი არიან. დარწმუნებული ვარ, რომ სამივე ჩინებულად იგრძნობს თავს კოსმოსშიც.

ტელეკამერები გვიჩვენებენ ბაქანს, სადაც ამ მომენტში კოსმონავტები არიან. ისინი იქნევენ ქუდებს; მაღლა სწევენ ხელებს, ეთხოვებიან იმათ, ვინც ამ მომენტში ქვემოთ დგას და თვალს არ აშორებს მათ.

გავიდა რამდენიმე დრო. ყველამ დატოვა სასტარტო მოედანი. გადაპრეს მომსახურების ფერმები. სტარტამდე რამდენიმე წუთი რჩება. მძლავრი რაკეტა და კოსმოსური ხომალდი — ჩვენი მეცნიერების, კონსტრუქტორების, მუშების შესანიშნავი ქმნილება მთელი თავისი სილამაზით მოჩანს.

ხუთწუთიანი მზადყოფნა! კოსმონავტები ესალმებიან იმათ, ვინც სტარტს მართავს. ეკიპაჟის წევრები თავს კარგად გრძნობენ.

ჩართეს ბორტის კამერები, და დაინახეთ ხომალდის კაბინა. კოსმონავტები გაფრენისათვის ემზადებიან. მათ მსუბუქი მუზარადები ახურავთ, რომლებზეც რადიოყურმილებია დამაგრებული.

რაკეტა მზად არის გასაშვებად. ჩართულია ანთება! და აი გაისმის ძლიერი გუგუნი. რაკეტა ცაში აიჭრა. თანდათან მოჩანს მნათი ჯვრისმაგვარი წერტილი.

— დაიძრა, — გაისმის ხმები.

რაკეტა გრძელ შლეიფს ტოვებს. თანდათან მიჩუმდა ძრავების გრიალი. მნათი წერტილი გაუჩინარდა.

კოსმოდრომიდან იტყობინებიან, რომ „სოიუზ-5“-ის ეკიპაჟს ბედნიერ მგზავრობას უსურვებენ არა მარტო ისინი, ვინც ამ მომენტში „ბაიკონურის“ კოსმოდრომზე დგას, არამედ „სოიუზ-4“-ის მეთაური ვლადიმერ შატალოვიც. „მალე შეხვედრამდე კოსმოსში!“ — გადმოსძახებს იგი.

ტელემაყურებლები კვლავ ხედავენ ხომალდის კაბინას. ხომალდი გადის აქტიურ უბანს. გავიდა წუთი, მეორე, და გამოსახულება მკაფიო ხდება. აი ვოლინოვი, ელისეევი, ხრუნოვი. ისინი ერთმანეთს ელაპარაკებიან. ერთ-ერთი მათგანი ხელს გვიქნევს, მიესალმება იმათ, ვინც დედამიწაზე დარჩა.

„სოიუზ-5“ წარმატებით გავიდა ორბიტაზე. ცენტრალურმა ტელევიზიამ და ტექნიკურმა სამსახურებმა შესაძლებლობა მისცეს მილიონობით ადამიანს დასწრებოდნენ კიდევ ერთი საბჭოთა კოსმოსური ხომალდის სტარტს. „სოიუზ-5“-ის ფრენა დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა საბჭოთა კოსმონავტიკის მატიანეში, სამყაროს შესწავლაში.

**ბ. ლუკიანოვი.**

(საკდესის კორ.).

15 იანვარი.

### საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ტრიუმფი

#### ვულოცავ გამარჯვებას

ორბიტაზეა ახალი, საბჭოთა კოსმოსური ხომალდები — „სოიუზ-4“ და „სოიუზ-5“. ახლა ოთხი საბჭოთა კოსმონავტი იმყოფება კოსმოსში. სასიამოვნოა იმის შეგრძნება, რომ მათ თვალყურს ადევნებს მთელი მსოფლიო. ჩვენ ქართველი მწერლები ვუერთებთ ჩვენს სიხარულს მილიონობით საბჭოთა ადამიანის აღტაცებას. ამ რამდენიმე დღის წინათ საბჭოთა მეცნიერებამ განახორციელა კოსმოსის დაპყრობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცდა, ვენერაზე გაშვებულ იქნა ორი საპლანეტათშორისო ავტომატური სადგური, რომლებიც მაისში მიაღწევენ ხაიდუსლოებით მოცულ პლანეტას. ამჯერად კი ახალი დიდი გამარჯვება... ხელით და გულით ვუსურვებ მამაც საბჭოთა კოსმონავტებს წარმატებით განახორციელონ გათვალისწინებული პროგრამა და მშვიდობით დაბრუნდნენ დედამიწაზე.

**კ. ლორთქიფანიძე.**

მწერალი.

#### მივილოცით იფრინეთ!

კოსმოსის ათვისებაში დიდი ეტაპი იყო 1962 წლის აგვისტოში „ვოსტოკ-3“-ისა და „ვოსტოკ-4“-ის ჯგუფური ფრენა. და აი საბჭოთა მეცნიერულმა აზრმა კიდევ ერთი სასახელო გამარჯვება იზეიმა. კოსმოსში კვლავ ჯგუფურად ფრინავენ ჩვენი შესანიშნავი ხომალდები „სოიუზ-4“ და „სოიუზ-5“.

ორ დღეში ორი დიდი მოგზაურობის მომსწრენი გავხდით. „სოიუზ-4“-ის გაფრენის შემდეგ ჩვენი აღტაცება ჯერ კიდევ არ იყო დამცხრალი, რომ გუშინ კოსმოსზე საიერიშოდ „სოიუზ-5“-იც ჯაფრინდა. ახლა კოსმოსური კვლევის რთულ პროგრამას ოთხი საბჭოთა ადამიანი ახორციელებს.

ფიქრით და ოცნებით მათთან ვართ. გვინდა მშვიდობიანი ფრენა ჭუსურვოთ და მუშური სალამი მივაწვდინოთ შორეულ კოსმოსურ სივრცეში.

მუდამ ჩვენი ხალხის საამაყოდ გეფრინთ, მამაცო კოსმონავტებო, მშვიდობით დაბრუნებას გისურვებთ დედამიწაზე!

**ბ. ბაჩეჩილაძე.**

თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

შეხვედრა კოსმოსში.

ნახ. ი. ქოქიაშვილისა.

## ხომალდ „სოიუზ-5“-ის მეთაურის ამხანაგ ბ. ვ. ვოლინოვის განცხადება სტარტის წინ

**ძვირფასო** ამხანაგებო და მეგობრებო!

საბჭოთა კოსმოსური მეცნიერება და ტექნიკა გეგმაზომიერად წყვეტენ კოსმოსის კვლევის რთულ ამოცანებს.

გუშინ ხომალდ „სოიუზ-4“-ით კოსმოსურ რეისში გავაცილეთ კოსმონავტი მფრინავი ამხანაგი ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე შატალოვი, დღეს კი მე და ჩემს ამხანაგებს კოსმონავტ მფრინავებს ალექსი სტანისლავის-ძე ელისეევს და ევგენი ვასილის-ძე ხრუნოვს წილად გვხვდა დიდი პატივი მოვახდინოთ კოსმოსში გაფრენა მრავალადგილიანი ხომალდით „სოიუზ-5“-ით.

ვამაყობთ იმით, რომ დაგვევალა მონაწილეობა მივიღოთ კოსმოსის მშვიდობიანი ათვისებისა და კაცობრიობის პრაქტიკული საჭიროებისათვის მისი გამოყენების საქმეში.

ხომალდ „სოიუზ-5“-ის ეკიპაჟის სახელით აღვუთქვამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ჩვენს მთავრობას, საბჭოთა ხალხს, რომ პირნათლად შევასრულებთ სამშობლოს პასუხსაგებ დავალებას.

მშობლიურ მიწაზე მალე შეხვედრამდე, ძვირფასო მეგობრებო!

ნახვამდის!

## მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში

ნიუ-იორკი, 15 იანვარი. (საკდესი). ამერიკის საინფორმაციო საგენტოებმა შეწყვიტეს ცნობების ჩვეულებრივი ნაკადი და აღნიშვნით „ელვა“ და „სასწრაფო“ მოსკოვიდან გადასცეს ცნობა, რომ დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის ორბიტაზე გაყვანილია კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-5“, რომლითაც გაფრინდა სამი კოსმონავტი.

ასოშიეიტედ პრესის საგენტო, რომელიც იუწყება საბჭოთა კოსმოსური კვლევის ახალ ეტაპს, ხაზს უსვამს, რომ კოსმონავტები ვოლინოვი, ელისეევი და ხრუნოვი „თავს ჩინებულად გრძნობენ“.

ყველა საგენტო აღნიშნავს, რომ ხომალდების „სოიუზ-4“-ისა და „სოიუზ-5“-ის ფრენის ამოცანაა ერთობლივი ექსპერიმენტები და კვლევა კოსმოსურ სივრცეში.

ბონი, 15 იანვარი. (საკდესი). „საბჭოთა კავშირმა გაუშვა კიდევ ერთი კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-5“. ეს ცნობა დასავლეთ გერმანიის დაკას საავენტომ გადასცა მაგინვე, როგორც კი გამოქვეყნდა საკდესის ცნობა. საავენტოს დეკემბერში ხაზგასმულია, რომ კოსმოსურ ხომალდზე იმყოფება ეკიპაჟი სამი კაცის შემადგენლობით.

**რომი,** 15 იანვარი. (საკდესი). „საბჭოთა კავშირმა გაუშვა კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-5“, რომელშიც სამი კოსმონავტი იმყოფება“. ეს ცნობა აღნიშვნით „ელვა“ გადავრცელა იტალიის ანსა საავენტომ, ცნობა „სოიუზ-5“-ის გაშვების შესახებ მაშინვე გადასცა იტალიის რადიომ.

**პარიზი,** 15 იანვარი. (საკდესი). რამდენიმე წუთის შემდეგ, რაც საკდესმა გადასცა ცნობა ახალი საბჭოთა კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-5“-ის გაშვების შესახებ, ეს ახალი ამბავი გადასცა საფრანგეთის რადიომ.

მოსკოველი კორესპონდენტების ცნობებში, რომლებმაც კვლავ უკანა პლანზე დააყენეს მსოფლიოს სხვა ქვეყნებიდან გადმოცემული ინფორმაცია ფრანსპრესის საგენტოს ტელეტაიპის ლენტებზე, დაწვრილებით აღწერილია კოსმოსური ხომალდის ფრენა, საბჭოთა კოსმონავტების ბიოგრაფიები. საგენტო აღნიშნავს, რომ ხომალდს მეთაურმა ბ. ვ. ვოლინოვმა უკვე დაამყარა კავშირი დედამიწასთან და ვ. ა. შატალოვთან, რომელიც განაგრძობს ფრენას კოსმოსური ხომალდით „სოიუზ-4“-ით.

ლონდონი, 15 იანვარი. (საკდესი). ინგლისში დიდი ყურადღებით ადევნებენ თვალს კოსმოსური სივრცის კვლევის მორიგ პროგრამას, რომელსაც ახლა საბჭოთა კავშირი ახორციელებს დღეს შეკანასკნელი ცნობების პროგრამაში ლონდონის რადიომ, როგორც შენიშვნელოვანეს ახალი ამბავი, გადასცა, რომ საბჭოთა კავშირი გაუშვებს კიდევ ერთი კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-5“, რომელშიც არიან კოსმონავტები ბ. ვ. ვოლინოვი, ა. ს. ელისეევი და ე. ვ. ხრუნოვი.



ნახატი ბ. მაისურაძისა.

# „სოიუზ-5“-ის ეკიპაჟი

**მეთაური. ბორტ-ინჟინერი. ინჟინერ-მკვლევარი.**

## I.

პროკოპიევსკი. პირველი საოქსო შახტი. აქ პოლიკლინიკაში მუშაობდა ახალი კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-5“-ის ეკიპაჟის მეთაურის ბორის ვოლინოვის დედა. მაღაროელთა ამ ქალაქში თითქმის ოცი წელი იცხოვრა იმან, ვისაც დღეს მთელი მსოფლიო იცნობს. აქ გაატარა ბორის ვოლინოვმა ბავშვობა და ყრმობა. ახლა აქაც, პროკოპიევსკში, გადის კოსმოსური ტრასა, რომელიც 1961 წლის 12 აპრილს გახსნა გეაგსკელმა ახალგაზრდა მუშამ იური გაგარინმა.

— მესმის, — გვითხრა ევგენია ისრაელის ასულმა, — ესე იგი, ახლა ჩემი ბორისია კოსმოსში... მაპატიეთ, რომ ვლიაგ. დარწმუნებული ვარ, რომ იგი შესრულებს დაკისრებულ დავალებას. და, რა თქმა უნდა, ყველაფერი კარგად იქნება. მაგრამ მახნც...

მასთან ერთად მივდივართ მაღალი სახლისაკენ პროკოპიევსკის ყოფილ ფასადის ქუჩაზე. და კოსმონავტის დედამ, თითქოს ახლებურად შეხედა ამ შეჩვეულ ქალაქს, გვიჩვენა სკოლა, სადაც ბორისი სწავლობდა, ქალაქის სტადიონი, სადაც იგი მძლეოსნობაში მკაცდინეობდა.

როდის გაიზარდა მისი ვაჟი, როდის შეიძინა ამდენი ვაჟკაცობა, რომ ვარსკვლავებისაკენ გადაეფრინა ნაბიჯი? ყველაფერი თანმიმდევრობით უნდა მოვიგიგონოთ. ბორისი ადრე დაობლდა. ახალგაზრდა ექიმი, ირკუტსკის სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებული ევგენია ვოლინოვა პროკოპიევსკში ჩამოვიდა სამუშაოდ. აქ მან გაიცნო რენტგენოლოგი ივანე კარიხი. ისინი შეუღლდნენ. მამინაცვალი ბორისს ნამდვილ მამობას უწევდა. დაიბადა მეორე ვაჟი — რობერტი.

დაიწყო ომი. კარიხი ფრონტზე წავიდა. ახალგაზრდა ქალი ორი ბავშვით მარტო დარჩა. პატარა ბორისი ძალიან სერიოზულად ეკიდებოდა თავის, როგორც უფროსი შვილის მოვალეობას.

ბორისი მტკიცე და მომთმენია. თუ რამეს ხელს მოკიდებს აუცილებლად შეასრულებს კიდეც. მას ბავშვობიდანვე აინტერესებდა ტექნიკა. ნამდვილი დღესასწაული იყო, როცა ომიდან დაბრუნებულმა მამინაცვალმა „კონსტრუქტორი“ აჩუქა! ბორისს შეეძლო საათობით მჯდარიყო, „გამოეგონებინა“ რაღაც არნახული მანქანები. ასევე გატაცებული იყო ფოტოგრაფიკა. ბორისმა დამოუკიდებლად ისწავლა ფოტოგრადალება. იღებდა მამინაცვლის, დედის, მეზობლების... კატის სურათებს. დედა სათუთად ინახავს უფროსი შვილის მიერ გადაღებული ფოტოების დიდ ალბომს.

ბორისი ბავშვობიდანვე შეიჩვია შრომას. ომის დროს მთელი საოჯახო საქმეები მას აწევა...

აქ, პროკოპიევსკში, ბორისი შვიდა კომკავშირში. 1952 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა. დედას არ ახსოვს ისეთი წელი, რომ მას არ ჰქონოდა რაიმე საზოგადოებრივი დავალება.

სად გაეგრძელებინა სწავლა? ამაზე ბორისს დიდხანს არ უფიქრია. გადაწყვიტა შესულიყო სამხედრო საავიაციო სასწავლებელში.

დედას ცუდად ეძინა, თუ სასწავლებლიდან ბორისის წერილი დაიგვიანებდა. რამე ხომ არ მოუვიდა ფრენის დროსო. ერთხელ სასწავლებლიდან პაკეტი მიიღეს. სხვისი ხელი იყო. ქმარმა — ივანე დიმიტრის-ძემ წაიკითხა: სარდლობა მადლობას გიხდით ვაჟის კარგად აღზრდისათვის.

იშვიათად გამოგზავნილ წერილებში ბორისი მშობლებს ატყობინებდა თავისი წარმატებების ამბავს. იარძნობოდა, რომ ფრენა მისთვის საკვარელი საქმე იყო. ბორისმა სასწავლებელი დაამთავრა. გამოგზავნა ფოტოსურათი, რომელზეც სრული საპარადო ფორმით იყო გადაღებული. სურათს ჰქონდა წარწერა: „ძვირფას დედიკოს სახსოვრად „უფროსი“ ვაჟისგან. 1956 წლის 7 აგვისტო“.

1957 წლის გაზაფხულზე ბორისი და მისი თანაკლასელი თამარ საგინოვა, რომელიც ნოვოკუზნეცკის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობდა, დაქორწინდნენ. შემდეგ ბორისმა მშობლებს აცნობა, ახალ სამუშაოს მთავაზობენ, ისეთს, რაზეც მოდამ ვოცნებობდიო. „გამომცდელი გახდა“, — გაიფიქრა დედამ.

ბორისი და თამარი საცხოვრებლად მოსკოვის მახლობლად გადავიდნენ. ესენტუკში სამკურნალოდ გაგზავნილისას ევგენია ისრაელის ასულმა ზვალეთან შეიარა. ბორისი მიელინებინა იყო. თამარი ახალ ადგილას ოჯახს აწყობდა.

ერთხელ საღამოს ბინაში მხიარული ახალგაზრდების ჯგუფი შემოვიდა. დედას რიგრიგობით გაეცინენ.

— იური ვარ, ბორისის „უფროსი ძმა“, — თქვა ერთ-ერთმა ეშმაკურად.

— პავლე, — დააქნია ქოჩორა თავი მეორემ.

— ანდრია, — სერიოზულად თქვა მესამემ.

შემდეგ ყველამ ერთად გააცინა იგი ვაგზალში. მორიგეობით მიჰქონდათ ჩემოდანი, ხუმრობდნენ. ის კი მიდიოდა და ფიქრობდა, რომ ახლა ყველა მფრინავი მისი შვილია.

1961 წლის აპრილში საბჭოთა ადამიანი კოსმოსში შეიჭრა. გაზეთის ფურცლიდან მას შეჰყურებდა იური, სწორედ ის მხიარული იური, ბორისის „უფროსი ძმა“! ხოლო როცა აგვისტოში გერმანე ტიტოვმა დედამის განმავლობაში შემოუფრინა დედამიწას, ევგენია ისრაელის ასულს არა სძინებია ამ დროის განმავლობაში. შემდეგ ლელავდა ანდრიანესა და პავლეს, ვალერისა და ვალენტინას, ვლადიმერის, კონსტანტინეს, ბორისის, პავლეს, ალექსის, გიორგის გამო...

იგი ხარბად კითხულობდა ყველაფერს, რაც პრესაში იბეჭდებოდა კოსმოსის შესახებ. თითქმის გაეცოდა პატარა ბოშურა „კოსმონავტები“ — ჯგუფის ხელმძღვანელის ჩანაწერები, განსაკუთრებით ის ადგილი, სადაც აღწერილია, როგორ ხტებოდნენ კოსმონავტები პარაშუტით:

„ყველაზე უკითესად ბორისი გადახტა. ყველა, პირდაპირ მოხიბლა თავისი ნახტომის უშუალობით, ხალისით, თუ შეიძლება ასე ითქვას. სწორედ ხალისით! იგი მსუბუქად მივიდა თვითმფრინავის ლუკთან, გაიცინა, ვაეხუმრა ამხანაგებს და მშვიდად გადაახტა ბორტიდან. უნდა ვინახოთ, როგორ ფლობდა სხვეულს თავისუფალი ვარდნის დროს! ინსტრუქტორმა თავი ვერ შეიკავა და შეიქო. მაღლივი ქარით გარეჯულ სახეზე პირველად გამოჩნდა ღიმილი. დედამიწაზე მან ვალერის ანშენა იქვე მდგომ ბორისს და უთხრა:

— აი როგორ უნდა გადახტომა! ისწავლეთ...

ერთხელ ეს წიგნი ბორისს უჩვენა, ჰკითხა:

— შენზეა?

მან მხრები აიჩეჩა:

— რას ამბობ, დედა. ეს ხომ კოსმონავტზეა. მე კი. მფრინავი ვარ.

...რამდენიმე წლის წინათ, კოსმონავტიკის დღის წინ, პავლე პოპოვიჩი, პავლე ბელიაევი და ალექსი ლეონოვი კალუგაში მიიწვიეს. მათ ბორის ვოლინოვიც გაჰყვა. ვიწრო კიბით ავიდნენ კოსმონავტების მეცნიერის პატარა კაბინეტში. ქუდები მოიხადეს. ალექსიმ აიღო თუნუქის სასმენი აპარატი, ყურთან მიიდო, როგორც ამას ციოლკოვსკი შვრებოდა და ბორისს სთხოვა:

— თქვი რამდენიმე სიტყვა.

— რა უბრალოა აქ ყველაფერი...

— დიდი არ არის ეს საკოსტრუქტორო ბიური, არა და რამდენი ბრწყინვალე აზრი დაბადებულა აქ! — დიხრად თქვა ალექსი ლეონოვმა კაბინეტიდან გამოსულისას.

— რამდენი უძილო ღამე და შფოთიანი დღე გაუტარებია ამ ნახევრადწაბნელებულ ოთახებში კონსტანტინე ედუარდის-ძეს, — თქვა ბორის ვოლინოვმა. — ახლა ცოცხალი რომ იყოს!

უკანასკნელი ოთახი. ეჭსკურსიამძღოლმა მაგნატოფონი ჩართო. გაისმა კ. ე. ციოლკოვსკის ოდნავ მკვეთრი ხმა. მეზეკომის საპატიო სტუმრების წიგნში კი ჩაიწერა ბორის ვოლინოვი: „...ფდაე ყოველთვის ახსოვდეს კაცობრიობას კ. ე. ციოლკოვსკის საქმეები და აზრები. ვწუხვართ, რომ ამ ადამიანს არ შეეძლია საკუთარი თვალით ნახოს, როგორ ხორციელდება მისი აზრები, მისი იდეები“. ქვევით კოსმოსის ცნობილი გმირების ხელმოწერაა. უფრო ქვემოთ: „ბ. ვოლინოვი“.

...ისევ და ისევ კითხულობს დედა შვილის იშვიათ წერილებს: „დედიკო, გენაცვალე, ნუ ჯავრობ. მინდა გაიხსენო შენი სტუდენტობის წლები. შენ დღისით სწავლობდი, მე კი ვმუშაობ კიდევაც და ისეთი სამუშაო მაქვს, რომ მთელ ძალღონეს ვახმარ“.

დიახ, დედა ხედავს, რომ მისი შვილი გაიზარდა, დავაჟკაცდა. მაგრამ მაინც ფიქრობს. მისთვის ეს ბავშვია, ახლა ახალ გზებს რომ იკვლევს ვარსკვლავებისაკენ, ისევ ის პატარა ბიჭია, რომელსაც არ უჯერს წერილების წერა და ყოველთვის როდი უფროხილდება თავის ჯანმრთელობას.

რა გუნებაზეა ახლა იური? ალბათ ღელავს, თუმცა, როგორც თვითონ ამბობდა, პირველ კოსმონავტებს მეტი სიძნელე გადახდათ. მაგრამ კოსმოსში ყოველი ახალი გაფრენა თავისებურად პირველია, ძნელია. და დედას ისევ გაუტყდა ძილი...

## II.

ინჟინერი ალექსი ელისეევი დაიბადა 1934 წელს კალუგის ოლქის პატარა ქალაქ ეიზდრაში — „ციოლკოვსკის მიწაწყალზე“. სწორედ მის თაობას შეეხებოდა კონსტანტინე ედუარდის-ძის სიტყვები, რომლებითაც მიმართა მოსკოვის 1935 წლის საპრივეელმაისო დემონსტრაციის მონაწილეებს: „ახლა, ამხანაგებო, სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ სინამდვილედ იქცევა ჩემი მეორე ოცნებაც — საპლანეტათშორისო მოგზაურობა, რომელიც თეორიულად დავასაბუთე“.

ალექსის ცხოვრება კარგად წარიმართა. მოსკოვის 167-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ელისეევი შევიდა ბაუმანის სახელობის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში, სადაც ლექციებს კითხულობდა აკადემიკოსი ს. პ. კოროლიოვიც.

...ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებელში, რომელზეც ჯერ კიდევ სკოლაში ოცნებობდა, ალექსი შევიდა 1951 წლის ივნისში. ქერათმიანმა, ნაცრისფერთვალება, პირმეცინარე მოზარდმა მეკელვარებით აიღო ხელში საგამოცდო ფურცელი. შეხედა თეთრ ქაღალდს და ხმამაღლა წაიკითხა:

— № 964. ელისეევი ალექსი სტანისლავის-ძე. 1951 წლის 11 ივნისი. — ყველაფერი სწორია.

თვალი შეაჩერა პატარა ფოტოსურათზე, რომელზეც მრავალი ბიჭედი იყო დასმული, და გაიფიქრა, „ყოჩაღად იყავი, ალიოშკა. თვითეულ ადგილზე ათი მსურველია!“

ალექსიმ დიდხანია გადაწყვიტა ინჟინერი გამხდარიყო. უნდა ითქვას, რომ აქ გავლენა მოახდინა დედამ ვალენტინა ივანეს ასულმა — ერთ-ერთი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მაშინდელმა მეცნიერმა თანამშრომელმა, აგრეთვე. მამინაცვალმა — ვაგანაკ ეფრემის-ძემ, რომელიც მისთვის ნამდვილი მამა და მეგობარი გახდა.

აბიტურიენტ ელისეევის ეს საგამოცდო ფურცელი შემინახულია, ისე როგორც ოთხი პატარა გვერდი თხზულებისა ლიტერატურაში, დაწერილი გარკვეული, მაგრამ რამდენადმე უსწორმასწორო ხელით. როგორც ჩანს, ლელავდა. მან ხომ აირჩია თემა ვლადიმერ მაიაკოვსკის შემოქმედების შესახებ — პოეტისა, რომელიც ალიოშას მხურვალედ უყვარდა იმისათვის, რომ „მთელი თავისი ძალებით, მთელი თავისი მძლავრი ტალანტით იგი ემსახურება სამშობლოს, მის ხალხს“, თხზულებაში ალექსიმ ძალიან ზუსტად და ცხადად გამოხატა თავისი სიმპათია მაღალი მოქალაქეობრივი იდეალების ადამიანებისადმი, სამშობლოს პატრიოტებისადმი.

წარმატებით ჩააბარა გამოცდები. ამაყმა და ბეჯნიერმა ალექსი ელისეევმა პატარა წიგნაკი — სტუდენტის მოწმობა დადო მეორე წიგნაკის — № 36037044 კომკავშირული ბილეთის გვერდით, რომელიც 1950 წლის დეკემბერში მიიღო. როცა რაიკომში წიგნაკი გადასცეს, მოსწავლე ალექსი ელისეევმა აღუთქვა ამხანაგებს, რომ ღირსეულად გაამართლებდა კომკავშირის წევრის წოდებას.

და კიდევაც გაამართლა ეს ნდობა. მისი სიტყვების პირველი შემოწმება იყო სტუდენტობის წლები. ალექსი ელისეევი განსაკუთრებული ინტერესით სწავლობდა თეორიულ საგნებს. ეს როდი უშლიდა ხელს ჭაბუკს მის დიდ საზოგადოებრივ მუშაობაში, სპორტშიც — ფარიკაობაში. ოთხჯერ გაიარა სტუდენტმა საწარმო პრაქტიკა და მუდამ კარგ შეფასებას იღებდა ხელმძღვანელებისაგან.

ბოლოს, დაიცვა დიპლომი. და აქაც საუკეთესო შეფასება მიიღო. „სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1957 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებით ა. ს. ელისეევს მიენიჭა ინჟინრის კვალიფიკაცია“, — ჩაწერილია დიპლომში, რომელიც 7 მარტს მიიღო ახალგაზრდა სპეციალისტმა.

რეკომენდაციაში საწარმოსადმი ნათქვამი იყო: „ა. ს. ელისეევი ჩინებულად სწავლობდა სავნებს. სწავლას უნარიანად უხამებდა დიდ საზოგადოებრივ და სპორტულ მუშაობას. კარგად ანაწილებს დროს, ბეგრ მუშაობას, გულმოდგინეა შრომაში. სამუშაოს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება“.

ინჟინერმა ელისეევმა თავისი შემოქმედებითი საქმიანობა დაიწყო ღირსშესანიშნავ 1957 წელს, როცა საბჭოთა ქვეყანამ დაიწყო კოსმოსური ერა.

ალექსი ელისეევი სამუშაოდ გაიგზავნა ერთ-ერთ საკონსტრუქტორო ბიუროში. აქ მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

ვინ არ ოცნებობს ახლა გაფრინდეს კოსმოსში, თავისი წვლილი შეიტანოს სამყაროს შესწავლასა და ათვისებაში.

რა თქმა უნდა, ალექსი ელისეევსაც ძალიან უნდოდა კოსმოსში გაფრენილიყო, გამოეცადა კოსმოსური ტექნიკა.

1966 წელს ინჟინერი ა. ს. ელისეევი მსმენელი-კოსმონავტი გახდა. ვარსკვლავეელთა ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციამ იგი მიიღო ლენინური პარტიის რიგებში, მისცა რეკომენდაცია „სოიუზ-5“-ის ეკიპაჟში შესასვლელად.

...დღეს ახლა ალექსის ოცნება. მან დაიკავა ადგილი კოსმოსურ ხომალდ „სოიუზ-5“-ში.

## III.

ევგენი ხრუნოვი — გაგარინის ჯგუფის მფრინავი სხვებთან შედარებით უფრო შორს იდგა სანუკვარ, მოსაოლოდნელ კოსმოსურ სტარტთან. მაგრამ მან იცოდა, რომ მისი დღეც დადგებოდა. და ენერგიულად, შეუპოვრად, ბეჯითად ემზადებოდა ამისათვის, გრძნობდა, რომ მეცნიერული ექსპერიმენტები თვითეულ სტარტთან ერთად სულ უფრო რთულდებოდა...

„ე. ვ. ხრუნოვი. ფართო სახე. მაღალი შუბლი. ხშირი მუქი თმა. ყოველთვის წელში გამართული. ზოგჯერ რამდენადმე პასიურიც. გატაცებით თამაშობს ფრენბურთს“. ეს სტრიქონები ამოღებულია 1963 წლის ივნისის ჟურნალისტური დღიურიდან „ვოსტოკ-5“-ისა და „ვოსტოკ-6“-ის სტარტების წინ.

ჩვენ გვაქვს ერთი საინტერესო ფოტოსურათი. ერთხელ დილით კოსმოდრომზე, სასტუმროს წინ, დიდი პლანით სურათი გადაუღეთ იური გაგარინს, რომელიც ფიზიკურ ვარჯიშზე მიიჩქაროდა. ობიექტივში შემთხვევით მოხვდა ბაღის სიღრმეში მყოფი ევგენი ხრუნოვიც. იგი გულხელდაკრეფილი იდგა. ხოლო საღამოს, როცა აგრილდა, სასტუმროს ბინადარნი ბაღში შეიკრებნენ. მეცნიერები, კონსტრუქტორები, ინჟინრები, კოსმონავტები, ჟურნალისტები. მოშორებით დგანან ვალენტინა ტერეშკოვა, ანდრიან ნიკოლაევი, ალექსი ლეონოვი, ევგენი ხრუნოვი და ჩვენი კონსულტანტი მეცნიერულ-ტექნიკურ საკითხებში პეტრე ერმილეს-ძე. ვალერი ბიკოვსკი უკვე კოსმოსშია. ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ტერეშკოვას ჰკითხა:

— ვალენტინა ვლადიმერის ასულო, რამდენი ხანი დაგრჩათ სტარტამდე?

— თორმეტი საათი და ოცდაათი წუთი, — დახედა საათს ტერეშკოვამ.

— თქვენ, ევგენი ვასილის-ძეო?

— მე? — ხრუნოვმაც დახედა საათს, გაიღიმა და ლეონოვს კითხა:

—ლიოშა, შენ როდის გადიხარ სტარტზე?

—ეს სამხედრო საიდუმლოებაა, — მსარე აუბა. მეგობრის ხუმრობას ალექსი არქიპოს-ძემ. — დაე ეს საიდუმლოება პეტრე ერმილეს-ძემ გათქვას.

— რა საიდუმლო, რის საიდუმლო! — სერიოზულად თქვა კონსულტანტმა. — დღესა და საათს სახელმწიფო კომისია განსაზღვრავს.

კოსმოდრომი. 1965 წლის მარტი. სახელმწიფო კომისიის სხდომა. წყდება საკითხი, თუ ვინ უნდა გაფრინდეს ახლა და ვინ უნდა იყოს დუბლიორი. მზად იყო ოთხი კოსმონავტი: პავლე ბელიაევი და ალექსი ლეონოვი, ევგენი ხრუნოვი და კიდევ ერთი მფრინავი. დაინშნა ხომალდ „ვოსხოდ-2“-ის ეკიპაჟი.

— სამხედრო-საპაერო ძალების სარდლობა, — თქვა ნ. პ. კამანინმა, — რეკომენდაციას იძლევა ხომალდ „ვოსხოდ-2“-ის მეთაურად დაინიშნოს პავლე იგანეს-ძე ბელიაევი, მეორე პილოტად — ალექსი არქიპოს-ძე ლეონოვი.

ევგენი ვასილის-ძე ხრუნოვი დუბლიორთა ეკიპაჟში აღმოჩნდა. ლეონოვივით ისიც მეორე პილოტია.

— დუბლიორი კოსმონავტები „ვოსხოდ-2“-ის ეკიპაჟის პარალელურად ემზადებოდნენ ღია კოსმოსში ადამიანის გასვლის ექსპერიმენტისათვის. ფრენა სპეციალური თვითმფრინავით, სადაც ხანმოკლე უწონობის პირობებში მუშაობდნენ „შესვლა“ და „გასვლა“ სარაბე კამერაში, მორგება და „ცოცხურება“ სკაფანდრში, სატრენაჟო კაბინაში საფრენი პროგრამის სრული ზუსტი დამუშავება — ყოველივე ეს გავლილი ეტაპია.

ალექსი ლეონოვსა და ევგენი ხრუნოვს კოსმოდრომზე ხშირად ხედავდნენ ერთად. ისინი ხმადაბლა ლაპარაკობდნენ ერთმანეთთან და ვერავის ამჩნევდნენ გარშემო. ალექსი რაღაცას გულდასმით ხაზავდა ფურცელზე.

— მსჯელობდით კედლის გაზეთის მორიგ შარაზე? — კითხეს ლეონოვს მოგვიანებით კორესპონდენტებმა.

— სრულებითაც არა. ეფრანასთან ერთად ვარჩევდით ხომალდიდან გასვლის ყველა ეტაპს. ერთმანეთს ვაბარებდით ტექმინიმუმს, — იხუმრა მფრინავმა.

— მერე როგორი ცოდნა გამოამჟღავნა დუბლიორმა?

— ეფრანმა ჩინებულად იცის საქმე. იგი გონებადამჯდარი კაცია. ამ ერთადერთი სიტყვით გამოთქმულ დახასიათებაში დიდი აზრია.

ევგენი ხრუნოვს მუშაობის უდიდესი უნარი აქვს. საოცრად მშვიდი და გამძლე კაცია. რა საქმესაც უნდა მოჰკიდოს ხელი ევგენიმ, იგი ყველაფერს საფუძვლიანად, მტკიცედ აკეთებს.

„ვოსხოდ“2“-ის ფრენა დაიწყო 18 მარტს. მეორე გარშემოვლის დროს ლეონოვმა და ბელიაევმა დაიწყეს კოსმონავტიკის ისტორიაში კოსმოსურ სივრცეში ადამიანის გასვლის უმაგალითო ექსპერიმენტი. მეცნიერები, კონსტრუქტორები, „კოსმონავტები,“ ჟურნალისტები შეიკრიბნენ ტელევიზორებთან ფრენის მართვის საკომანდო პუნქტში.

ცალკე ოთახში აპარატთან არიან ოპერატორები, მეცნიერები, ინჟინრები. სიჩუმეა. დინამიკში ისმის კოსმონავტთა ხმები, რომლებიც ოდნავ დაშეშულია მანძილით. ერთი ბრძანებას იძლევა, მეორე შესრულებას მოახსენებს. ამ საუბრიდან გასაგებია, რომ ლეონოვი უკვე სარაბე კამერაშია. კიდევ ერთი წამი...

— გავდივარ, — ისმის ალექსი არქიპოს-ძის ხმა.

— გამოჩნდა, გამოჩნდა! — აღფრთოვანებით შესძახა უცებ ერთ-ერთმა ოპერატორმა.

ხანამ ლეონოვი კოსმოსურ სივრცეში ლიღლიავებდა, ევგენი ხრუნოვს თვალი არ მოუშორებია ეკრანისათვის. შევამჩნიეთ, რომ ძალიან ღელავდა ამხანაგის გულისათვის, რომელმაც დაიწყო ეს საოცარი, უნიკალური ექსპერიმენტი.

— როგორ არის საქმე? კითხეს კორესპონდენტებმა, როცა ჩაქრა ტელევიზორის ეკრანი.

— ყველაფერი ნორმალურად არის, — უპასუხა მან მშვიდი ტენორით. — ახლა სხვებსაც შეუძლიათ გაბედულად გავიდნენ კოსმოსში.

**გ. კუდრიავცევა,**
**ა. რომანოვი.**

ხაკდესის სპეც. კორ.

# სოლიდაროგა ვიეტნამელი ხალხისადმი

**პარიზი, 15 იანვარი. (საკდესი). 14 იანვარს პარიზში ჩამოვიდა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის დელეგაცია როგელსაც მეთაუროობს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარე რენატო გიტოსი (იტალია). დელეგაციაში შედიან პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ვიცეთავმჯდომარეები ლ. პენია (კუბა), ბ. სერკერია (ბრაზილია), ამმედ ეშ-შეიხი (სუდანი), პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მდივანი ს. დრაგოი (რუმინეთი), ხრულიად ინდოეთის პროფკავშირთა კონგრესის თავმჯდომარის მოადგილე ბ. კრიშნანი, პოლონეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ტულოჩეცკი და საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალური მდივანი ჟ. სეგი.**

**გადაწყვეტილება, რომ პარიზში გაეგზავნა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის დელეგაცია, მიიღო პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური საბჭოს მე-18 სესიამ, რომელიც გასულ თვეში გაიმართა ბერლინში. როგორც აღნიშნულია რეზოლუციაში, რომელიც ამ სესიამ მიიღო, დელეგაციის გაგზავნის მიზანია გააცნოს ამერიკის წარმომადგენლებს მსოფლიოს მშრომელთა აზრი და პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის სოლიდარობა გამოუცხადოს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და განთავისუფლების სახალხო ფრონტის წარმომადგენლებს.**

**პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის დელეგაციის პარიზში ჩამოსვლასთან დაკავშირებით საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის მდივანმა რენე დიუპელმა განაცხადა:**

**„შრომის საყოველთაო კონფედერაციას, მის ორგანიზაციებსა და მის აქტივისტებს მიაჩნიათ, რომ მათ წილად ხვდათ დიდი პატივი — მიიღონ საერთაშორისო მუშათა მოძრაობის წარმომადგენელნი პარიზში, სადაც 28 წლის წინათ იშვა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია“. მან ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა კიდევ უფრო ფართოდ გაიშალოს სოლიდარობა ვიეტნამელი ძმებისადმი.**

# დიპლომატია ეროვნული კულტურაზე

**ლონდონი, 15 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ი. უხტომენკო იუწყება:**

**ერთა თანამეგობრობის ქვეყნების პრემიერ-მინისტრების მე-17 კონფერენციის კულუარებში დიდი დიპლომატიური საქმიანობა გაჩაღდა მთელი რიგი საკითხების გარშემო, რომლებიც ძირეულად ეხება თანამეგობრობის ინტერესებს.**

**როგორც** გამოირკვა, ინგლისი სერიოზულ ზეგავლენას ახდენს ნიგერიის დელეგაციაზე, რათა კონფედერაციის დამთავრებამდე გამართოს მოლაპარაკება აღმოსავლეთ ოლქის წარმომადგენლებთან, რომელმაც ეგრეთწოდებული „ბიაფრის რესპუბლიკად“ გამოაცხადა თავი. ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ჰაროლდ ვილსონმა და შინაგან საქმეთა და ერთა თანამეგობრობის საქმეთა მინისტრმა მაიკლ სტიფორტმა მოაწყეს თათბირები ნიგერიის დელეგაციის მეთაურთა ობაფემი ავოლოოსთან, რათა დარწმუნებინათ იგი, რომ საჭიროა „ომის ბლოკის შეწყვეტა“ ნიგერიაში.

ამით ინგლისს სურს „მშვიდობისმყოფელის“ როლი დაიჩემოს და რამდენადმი განამტკიცოს კონფედერაციაზე პოზიციები, რომლებიც მკვეთრად შეიარყია იმან, რომ ბერძენ-ინგლისელ პოლიტიკას როდეზიისა და რასობრივი დისკრიმინაციის მიმართ, რასაც ადგილი აქვს ბრიტანეთის კოლონიებში.

სინამდვილეში კი ინგლისი, როგორც ადგილობრივ მეთვალყურეთა წრეებში ალნიშნავენ, მიზნად ისახავს თავიდან აიცილოს გამთელიანების ძალების სრული განადგურება აღმოსავლეთ ოლქში, რაც შეიცნობამება დასავლეთის ნავთობის მონოპოლიების მოთხოვნებს, რომლებიც დაინტერესებული არიან, რომ ნიგერია გაყოფილი დარჩეს.

ნიგერიის დელეგაცია მტკიცედ წინააღმდეგობას უწევს ინგლისის ზეგავლენას. როგორც ანტონი ნანბორომ განაცხადა, ფედერალურ მთავრობას განზრახული აქვს შეინარჩუნოს ქვეყნის ერთიანობა და ტერიტორიულად ურყეყოფს ყოველგვარ ცდას, რომელიც ხელს უშლის ბიაფრის გამოთიშვის ძალების განადგურებას.

# საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის მოლაპარაკება ბონში

**ბონი, 15 იანვარი.** საკდესის კორესპონდენტი ვ. ვინოგრადოვი იუწყება:

**ბონში დამთავრდა საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის საკონსულტაციო მოლაპარაკების მორიგი ტური.** მხარეთა დელეგაციებს მეთაურობდნენ გერმანიის ფედერალიზმი-ული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი ლარი და საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ეკონომიკისა და ფინანსების საკითხთა დეპარტამენტის დირექტორი ბრიუნენ.

როგორც პრესის ცნობებიდან ჩანს, მოლაპარაკება მიმდინარეობდა შეეთანხმებლობის ვითარებაში და არ მოჰყოლია რაიმე კონკრეტული შეთანხმება.

ერთ-ერთი მთავარი განსახილველი საკითხი იყო საფრანგეთის ნავთობის დასავლეთ გერმანიის ბაზარზე დაშვების საკითხი. მისი გადაწყვეტილებელ შეეწყობოდა საფრანგეთის შეეთანასწორებინა ეარ-ყოფილი ბალანსი გერმანიის ფედერალიზმ-ურ რესპუბლიკასთან ვაჭრობაში. საფრანგეთის მხარე უკვე დიდი ხანია მოითხოვს ამას. იმოწმებს რა გერმანიის ფედერალიზმ-ური რესპუბლიკის მეურნეობის სამინისტროს ცნობებს, გაზეთი „ზეიდდოიჩე �იტუნგი“ აღნიშნავს, რომ საფრანგეთის ეკონომიკისა და ფინანსების მინისტრმა ორტოლომ და ბონის მეურნეობის მინისტრმა შილერმა გაცვალეს წერილები ამ თემაზე.

მაგრამ ბონი არ ჩქარობს გზა გაუხსნას საფრანგეთის ნავთობს. ამჯერადაც დასავლეთ გერმანიის მხარე დასკვნა-და ცარიელ დაპირებებს, რომ „სიცხადეს შეიტანს“ ამ პრობლემაში. გაზეთი „დი ველტი“ ხაზს უსვამს, რომ გერმანიის ფედერალიზმ-ური რესპუბლიკის პოზიცია „ნავთობის საკითხში არ შეცვლილა“.

პოლიტიკურ მიმმხილველებს მიაჩნიათ, რომ ბონის პოზიცია თავისებური „პასუხია“ საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ეკონომიური ინტეგრაციის თანამშრომლობის გაფართოებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება ბონის კურსს — საერთაშორისო დაძაბულობის გაღვივების კურსს.

## ამ ხოლოლ

### ფაქტები

**ლონდონი.** (საკდესი). **დიდ ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის აღმასრულებელმა კომიტეტმა მოიწონა კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის მოსამზადებელი კომისიის ბუდაპეშტის სხდომის გადაწყვეტილებანი.**

**როგორც გაზეთი „მორნინგ სტარი“ წერს, დიდი ბრიტანეთის კომპარტია წარმომადგენლებს გაგზავნის სამუშაო ჯგუფის მორიგ სხდომასა და მოსამზადებელი კომისიის სხდომაზე, რომლებიც მოსკოვში გაიმართება.**

**კუბანა.** (საკდესი). „რევოლუციის დაცვის კომიტეტების საქმიანობის ქვეუნისათვის დიდი სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ისინი დიდ დახმარებას უწევენ კუბის კომუნისტურ პარტიას რევოლუციის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში“, — განაცხადა კუბის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ რაულ კასტრომ, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელთა თათბირზე. თათბირის მონაწილეებმა განიხილეს გასული წლის მუშაობის შედეგები და განსაზღვრეს კომიტეტების 1969 წლის ამოცანები იდეოლოგიურ მუშაობაში, სოფლის მეურნეობასა და რევოლუციური სიფხიზლის ამაღლებაში.**

**ვაშინგტონი.** (საკდესი). 1968 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში მოეწყო 4.950 გაფიცვა. ეს 7 პროცენტით მეტია, ვიდრე 1967 წელს. გაფიცვებში მონაწილეობა მიიღო 2.6 მილიონმა კაცმა. ამას იუწყება ამერიკის შეერთებული შტატების შრომის სამინისტრო.

სამინისტროს ცნობაში აღნარებულია, რომ საგაფიცვო მოძრაობას შეერთებულ შტატებში ასეთი მასშტაბისათვის არ მიუღწევია 1953 წლიდან. გაფიცვების შედეგად მთელი გასული წლის მანძილზე დაკარგულია 47 მილიონი კაც-დღე.

**ვარშავა.** **მდინარე რეოზე, რამდენიმე კილომეტრზე პოლონეთის ახალი ქვანახშირის აუზის ცენტრის — რიბნიკის ჩრდილოეთით, დაიწყო 800 ათასი კილოვატი სიმძლავრის დიდი ელექტროსადგურის მშენებლობა.**

# იტალიის პარლამენტში

**რომი,** 15 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ი. ლობატინი გვატყობინებს:

**იტალიის პარლამენტმა განაახლა მუშაობა. დეპუტატთა პალატის გუშინდელი პირველი სხდომა მიეძღვნა 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვას.** სენატში სიტყვა წარმოთქვა შინაგან საქმეთა მინისტრმა ფ. რესტივომ, რომელმაც „გიალაშქრა გაფიცვებისა და სახალხო დემონსტრაციების დროს „წესრიგის დაცვის“ პერიოდში პოლიციის განიარაღების წინააღმდეგ.

პოლ

# დ ო ლ ი

**რეპორტაჟი საზამთრო საძოვრებიდან**

**ბ**ახედარმა იაბოს მთარახი გადაჰკრა. თვრიერი ცხოველი ელვის სისწრაფით მოსწყდა შეყინულ დედამიწას. მესამე ღამეა ციოგრომბორიდან მოვარდნილი ქარი ოერისპირეთის ველებზე ავობს და უმოწყალოდ აოოთქითებს მოზამთრე მწყემსთა სადგომებს.

„ბელემის გორაზე“ წამომდგარი თვლის ზვინები მიშალმიშალა. „ალიგი დღე არც „ხალაჯებსა“ და „გვილის წყაროზე“ ჩამწკრიალებულ ფარეხებს დაეყარა. ახალთაბალ საბატკნეებს სახურავი მოხადა და გარეკილ მწყემსთა სამშობელი რომ არა, წყვდიად ღამეში ძნელი იყო ეთვიზოლოდ დამფრთხალი ქორფლების შეჩერება.

დღეს კი ციცხლის ალმა ეოგად ინათა ოერის ველზე. ამიტომ ვერ მოისვენა ბრიგადირმა გიორგი ტაბატაძემ. „წინწკალას“ ზურგზე თექის ნახევი დადაკრა და ალრის ხარხების ჩამოსახსნელად ებრძანა ბერი.

— გიორგავ, ამ ეოდროო დროს რამ შეგაწუხა, რა ამბავია? — შემოეოძახა ბრიგადირს ( მოდარაჯე მწყემსმა მიხეილ მოძმინაშვილმა და ეაზვეულოდ ამტყდარ ხმაურს წუთით მიაყურადა.

— მიხაკო, შენ იქნებ არ იცი, რომ ქარიან ღამეში მეტი მცდელობა გვმართებს: პირუტყვი არ უნდა გავაცივოთ. ეგეც არ ეოოს, ქარმა საკვამურებიდან ნაპირწყლების მოტაცება იცის. წყალმა, თუ საედანმე მოტანა და თვლის ზვინებზ მიაგდო, მერე ამ ზამთარში რითი გინდა ალებო ნერბები. ხომ გაგიგონია, ერთი მახინჯი ავადა ოჯახშია და თუ ვისმე მაცდურმა შეეოიტინა და ზვინებს ეცესლი. შეეუნთო. ბვიანლია ეჭნება, — შეეგება ბრიგადირმა და კოროკნებში ბატკნებისათვის ბღოჯაბღოჯა ჩამოკიდებულ თვლის კონებს თვალი ერთხელ კიდევ შეავლო.

...ბუნების სტიქიასთან ბეკრჯერ მამაცურად ებრძოლიათ საგარეჯოს მერძეკეობა-მეგბოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მეცხვარეობის მეხუთე ბრიგადის სახელოვან მწყემსებს. — როგორც საკუთარ გულსა და ოჯახს, ისე ცხვარს წუთითაც არ ეოალატებდა, — ხშირად ამბობენ ხოლმე ამ ბრიგადის ოთეალეოლეს ეროს შეასწავლა და სიძნელეებთან ჭიდილში გამოაწრთო სოლომონი. ხოლო როცა ხანში შეიდა და ყინვა-ქარიშხლით გარეკილი მწყემსის ორგანიზმმა დასვენება მოითხოვა, ქარუმამ გულში ხალეები მეურნეობის ხელმძღვანელებს გაანდო. ბრიგადირობა ქარუმას რჩევით მისცეს ალზრდილ სოლომონ ჭიაურელს მიანდეს.

გიიბარეს მწყემსებმა ვასილ ლაფერაშვილმა, ივანე თედიაშვილმა და სხვებმა, როცა ახალ ბრიგადირს შეავლეს თვალი. მათ შორშან თე ყოველ 100 ნერბზე 90-91 ბატკანი გაზარდეს, წელს 95-98 ბატკანის გაზრდა ეიოსრეს. ამავე ბრიგადაში სასახელოდ შრომობენ გიორგი ბეჟიტაშვილი, თედო სულიკაშვილი, ოსეს ფსტიაშვილი და სხვა მწყემსები.

დიდი ორგანიზებულად დაიწყო მეცხვარეობის მეეტესი ბრიგადამ. ბრიგადირი ეიგა დარბაისელი 30 წელზე მეტია, რაც მეცხვარეობას ემსახურება. ერთ დროს იგი ძრობას მწყემსადა, მაგრამ გულმა ცხვარში გაიწია. შარშან ბრიგადამ თე ყოველ 640 ნერბზე 618 ბატკანი გაზარდა, კოლა ლაფერაშვილი, ივანე თედიაშვილი და სხვა მწყემსები იმისათვის იბრძვიან, რომ ყოველ ას ნერბზე ამდენივე ბატკანი შეინარჩუნონ, ხოლო ერთ ცხვარზე 2,7 კილოგრამის ნაცვლად 3 კილოგრამი მატყლი გაპარსონ.

დიდის ეროს ჩვენ დიდ ყ[illegible] რადღებას ვაქცევთ პირუტყვის მაძღრისად კვებას, სისუფთავეს. — ამბობს ფერმის გამგე სანდრო კობტაშვილი და დასძენს: [illegible] რისათვის 260 ტონის ნაცვლად დავამზადეთ 330 ტონა ეუბეში საკვები, საჭირო რაოდენობით თივა და კონცენტრატები.

ამეილმოწყობილ საბატკნეებსა და პირუტყვის ობილ სადგომებს, მწყემსთა კულტურულ ბინებს რომ ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ეს ეოდგო ჭიშმარიტება. გარეკილებმა კარგა ხანია ალცეს. ჯერ კიდევ ზაფხულში „ოჯახის ხეკში“ აამენის ახალი საბატკნე, შეაკეთეს სადგომები, მოამწყვეს სურსათისა და სხვა დამხმარე სათვისები.

ახლა ხუთწლედის მეოთხე წლის პატრიოტული შრომის ფიღენია ეკრისპირეთის საზამთრო საძოვრებზე. აქ არიან თოვლ-ყინვაში ნაწრთობი, ინგრის ცივი ქარისაგან სახეგარეკილი მწყემსები და დიდი ლენინის საიუბილეო გმირული შრომის ფურცლებს წერენ. როცა ყინვა მოტყდება და ავეკასიონის მთიდან მზე შეიმალებს, ისინი ლილ-ხალით ჩაბუნებებულ ფარეხებიდან თოვლზე ეოეთრეს ბატკნებს გამოეფიდალავებენ და გარემოს საამოდ ედება ჩვილთა ბღავილი.

**ვ. ეუზიტაშვილი.**
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

* * *

**სურათებზე:** ზემოთ — მწყემსი ბეჟიტაშვილი; ქვემოთ — ფერმის გამგე სანდრო კობტაშვილი (ცენტრში) ახალი წლის გეგმა-ვალდებულებას აცნობს მწყემსებს დავით ჭიაბერაშვილს (მარცხნიდან), მიხეილ მოძმინაშვილსა და გიორგი ტაბატაძეს.

ფოტო ავტორისა.

## თ. ხვედელიანი

რომ იტყვიან, [illegible] ალბერტ [illegible] ბერ ილარიონ ხვედელიანზე ეთქმით მის მეგობრებსა და ამხანაგებს. უეცრად გარდაიცვალა ეს ჯერ კიდევ ახალგაზრდა ენერგიით აღსავსე, შრომისმოყვარე, ალალმართალი კაცი.

ძველი კომკავშვილი, სკკპ წევრი 1944 წლიდან თ. ხვედელიანი დაბადა 1913 წელს ონის რაიონის სოფელ ანკარაში. თბილისის პედაგოგიური ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ, 1933 წლიდან იგი ეწეოდა ჟურნალისტურ მოღვაწეობას ჯერ მრავალტირაჟიანი გაზეთის რედაქციაში, შემდეგ გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“.

1941 წელს თ. ხვედელიანი საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი იყო, ხოლო ერთი წლის შემდეგ აარჩიეს იქნა საქართველოს ალკკ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად. მალე მას აწინაურებენ პარტიულ სამუშაოზე. წლების მანძილზე იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი ორგანიზატორი.

1954 წელს თ. ხვედელიანი ჯერ ადიგენის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეა, შემდეგ კი საქართველოს კომპარტიის ადიგენის რაიკომის პირველი მოკავნი. მან 1956 წელს დაუსწრებლად დაამთავრა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლა. უკანასკნელ პერიოდში იგი ხელმძღვანელ სამეურნეო სამუშაოზე იყო.

სადაც კი უმუშავნია, თ. ხვედელიანი ყველგან იჩენდა საქმისადმი სიყვარულს, ადამიანებისადმი გულისხმიერებას, დავალებათა შესრულებისათვის პასუხისმგებლობას. ჯერ კიდევ ძალიან ბევრს მოველოდით თემურ ხვედელიანისგან ჩვენ, ბევრ ამბავსა და ამხანაგებს, მოველოდით, რომ იგი თავისი უშფიკველო, ენერგიული შრომით კვლავაც შეიტანდა ჯეროვან წვლილს კომუნიზმის მშენებელ ადამიანთა დიდ საქმეებში. მაგრამ აღარ დასცალდა, უდროოდ შეწყდა მისი გულისცემა.

ნიჭიერი, შრომისმოყვარე, ენერგიული და უაღრესად თავმდაბალი ადამიანის თ. ხვედელიანის ხსოვნა მუდამ იცოცხლებს მისი ახლობლებისა და ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

## გუშინდელი ფოსტიდან



### შკითხვე